اللغة الجورجية

ქართულ ენაზე

دليل المسلم الجديد، ما هو الإسلام؟

للشيخ د. هيثم سرحان

# ახალი მუსლიმის სახელმძღვანელო

## რა არის ისლამი?

Syaikh Dr. Haitsam Sarhan

# العقيدة
# მრწამსი

## الأصول الثلاثة
## სამი საფუძველი

من ربك؟
ვინ არის შენი ღმერთი?

ربي الله.
ჩემი ღმერთი ალლაჰია.

ما دينك؟
რომელია შენი რელიგია?

ديني الإسلام.
ჩემი რელიგია ისლამია.

من نبيك؟
ვინ არის შენი მაუწყებელი?

نبيي محمد ﷺ
ჩემი მაუწყებელი მუჰამმედია

## أركانُ الإسلامِ خمسة:
## ისლამის ბურჯი არის ხუთი:

- شهادةُ أنْ لا إله إلا الله
وأنّ محمد عبده ورسوله.
დამოწმება, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანო, გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი მონა და შუამავალია.

- إقام الصلاة.
ლოცვის შესრულება.

- إيتاء الزكاة.
ზექათის გაცემა.

- صوم رمضان.
რამადანის მარხვა.

- حجّ بيت الله الحرام لمن استطاع إليه سبيلا.
ალლაჰის კრძალული სახლის მოლოცვა იმისათვის, ვისაც იქ მისვლა შეუძლია

## أركان الإيمان ستة:
## რწმენის ბურჯი არის ექვსი:

أن تؤمن
بالله
ირწმუნო ალლაჰი

وملائكته
მისი ანგელოზები

وكتبه
მისი წიგნები

ورسله
მისი შუამავლები

واليوم الآخر
უკანასკნელი დღე

وأن تؤمن بالقدر خيره وشره.
ირწმუნო ბედისწერა, მისი სიკეთე და სიავე

## معنى الشهادتين:
## ორი დამოწმების მნიშვნელობა:

ما معنى شهادة أنْ لا إله إلا الله؟
რას ნიშნავს დამოწმება, ლა ილაჰა ილლა ალლაჰ?

أي لا معبود بحقٍّ إلا الله.
არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანო, გარდა ალლაჰისა.

وما معنى شهادة أن محمد عبده ورسوله ؟
რას ნიშნავს დამოწმება, მუჰამმედი მისი მონა და შუამავალია?

أي أنه صلى الله عليه وسلم عبدٌ لا يُعبد و رسولٌ لا يُكذَّب.
ის ﷺ მონაა არ ითაყვანება და შუამავალია ცრუდ არ შეირაცხება.

## مراتب الدين ثلاثة:
## რელიგიას აქვს სამი ხარისხი:

الإسلام
ისლამი

الإيمان
რწმენა

الإحسان
სიკეთე

## أسئلة القبر الثلاثة:
## საფლავის შეკითხვა არის სამი:

من ربك ؟
ვინ არის შენი ღმერთი?

ما دينك ؟
რომელია შენი რელიგია?

من نبيك؟
ვინ არის შენი მაუწყებელი

اللغة الجورجية
ქართულ ენაზე

Sarhaan.com
Mahadsunnah.com

# განბანვის თეიემმუმის და დაბანის ფორმა



## განბანვის ფორმა

გულით განიზრახავს განბანვას, შემდეგ იტყვის ბისმილლაჰ, შემდეგ დაიბანს ხელის მტევნებს.



1

შემდეგ აიღებს წყალს მარჯვენა ხელის გულით და გამოივლებს პირს. შეუშვებს წყალს პირში და გამოიბანს. შემდეგ გამოუშვებს წყალს პირიდან. შემდეგ წყლით გამოიბანს ცხვირის ნესტოებს ანუ წყალს შეუშვებს ცხვირში. შემდეგ გადმოღვრის ანუ გამოუშვებს წყალს ცხვირიდან. და მოიწმენდს ცხვირს მარცხენა ხელის საჩვენებელი და ცერა თითით.



2

შემდეგ დაიბანს სახეს ჩვეულებრივ თმის ძირებიდან ყბის ბოლოებამდე, ნიკაპს სიგრძეში და ყურებს შორის სიგანეში.



3

შემდეგ დაიბანს ხელებს თითის წვერებიდან იდაყვების ჩათვლით. იწყებს მარჯვენა ხელით, შემდეგ მარცხენა.



4

შემდეგ გადაისვამს ხელებს მთლიან თავზე. გადაატარებს ხელებს თავის წინა ნაწილიდან კეფამდე და დააბრუნებს უკან.



5

შემდეგ საჩვენებელ თითებს შეუშვებს ყურებში, ცერა თითებს კი გადაუსვამს ყურებს გარედან.



6

შემდეგ დაიბანს ფეხებს კოჭების ჩათვლით.



7

რა განაჩენი აქვს დაკანონებულ ნორმაზე დამატებას?

განბანვის დაკანონებულ ნორმაზე დამატება დაუშვებელია, მსგავსად რომ დაამატოს სამჯერ დაბანას, ან რომ დაიბანოს იდაყვის ზემოთ მკლავი, ან კოჭის ზემოთ წვივი, ან რომ გადაისვას ხელები კისერზე.



8

განბანვის დასრულების შემდეგ იტყვის:

"ვამოწმებ, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანო, გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას თანაზიარი, და მუჰამმედი მისი მონა და შუამავალია."
თირმიზის გადმოცემაში: "ო, ალლაჰ, დამადგინე მე მომნანიებელთაგანნი და დამადგინე მე განწმენდილთაგანნი."

9

განბანვას შლის:

1. ის რაც გამოდის წინიდან და უკნიდან შარდის მოსაქმების და ჰაერის სახით.
2. გონების დაკარგვა ძილით ან გულის წასვლით.
3. აქლემის ხორცის ჭამა.

10

## თეიემმუმის ფორმა

თეიემმუმი არის განმწმენდი წყლის ალტერნატივა, თუ შეუძლებელია წყლის გამოყენება სისუფთავის ჩასატარებელ ორგანოებზე ან ზოგიერთ მათგანზე, წყლის არ არსებობის ან მისი გამოყენების შედეგად გამოწვეული ზიანის შიშის გამო. მაშინ მიწა იკავებს წყლის ადგილს.

1

გულით განიზრახავს თეიემმუმს. შემდეგ იტყვის ბისმილლაჰ. შემდეგ ხელებს შეახებს მიწაზე ერთჯერ და გადაისვამს ხელის გულებს სახეზე და ხელის მტევნების გარე ნაწილზე.




2

არაა დაკანონებული თითების გაფანტვა ხელების მიწაზე შეხებისას და არც თითების ერთმანეთში გატარება ხელის მტევნების გადასმისას.



3

## სავალდებულო დაბანის ფორმა

გულით განიზრახავს სხეულის დაბანას და იტყვის ჩუმად ბისმილლაჰ. შემდეგ მთლიან სხეულს დაიბანს წყლით, თხელი თუ სქელი თმის ძირებსაც, პირის და ცხვირის გამობანის ერთად.

1

სხეულის დაბანის აუცილებლობას იწვევს:

1. შებილწულობა, ამას იწვევს სპერმის გამოშვება თანაცხოვრებით ან სხვაგვარად, ან სასქესო ორგანოების შეხვედრით.
2. მენსტრუაციული ან სამშობიარო სისხლის გამოდენა.
3. სიკვდილი, გარდა შეჰიდისა.
4. ურწმუნოს გამუსლიმება.

2

მოამზადა დ. ჰაისამ სარჰანმა, მესჯიდი ნებევის მასწავლებელი და სუნნის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ქართულ ენაზე
الجورجية

# ლოცვის ფორმა

1

სუნნაა, რომ ილოცოს იმამმა ან მარტომ და წინ ჰქონდეს ბარიერი. იმამის ბარიერი არის მის უკან მლოცველთა ბარიერი.



მლოცველმა თავისი მზერა უნდა მიაპყროს სუჯუდზე და არ უნდა მიმოტრიალდეს.



**1**

დგომისას მის ფეხებს შორის მანძილი მისი მხრების ტოლი უნდა იყოს. არ უნდა დაამატოს მას და არც მოაკლოს. და ფეხების გარე მხარეები უნდა გაასწოროს.



**2**

მას შემდეგ, რაც ლოცვის დაწყებამდე არსებულ პირობებს დააკმაყოფილებს, იტყვის: ((ალლაჰუ აქბარ - ალლაჰი უდიდესია)). ამასთანავე უნდა ასწიოს ორივე ხელები თითებ გაშლილი ყურების ან მხრების გასწვრივ. და მისი ხელისგულები უნდა მიმართოს ყიბლისაკენ.



**3**

შემდეგ მისი მარჯვენა ხელისგულს დაადებს მარცხენა ხელის მტევნის გარე ნაწილზე. მაჯას და მკლავს დაადებს მკერდზე ან შეკრავს.



**4**

- შემდეგ სასურველია წაიკითხოს ლოცვის შესავალი ვედრება, მხოლოდ პირველ მუხლზე, უკეთესია ახსენოს ლოცვის შესავალი ვედრებებიდან სხვადასხვა ვედრება და წაიკითხოს: ((სუბჰანა ქალლაჰუმმა ვაბიჰამდიქა, ვათაბარა ქასმუქა ვათა'ალა ჯადდუქა ვალა ილაჰა ღაირუქა - ო, ალლაჰ, ქება შენდა შენი დიდებით, დალოცვილია შენი სახელი, უზენაესია შენი დიდებულება და არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანო, გარდა შენისა.))
- შემდეგ ალლაჰს სთხოვს შეფარებას ისე, როგორც მოვიდა გადმოცემაში, ამბობს: ((აუზუ ბილლაჰი მინ აშშაიტანი არრაჯიმ - ალლაჰს შევეფარები წყეული სატანისაგან.))

-შემდეგ ახსენებს ალლაჰის სახელს და წაიკითხავს სურა ფათიჰას, მის აიათებს, სიტყვებს, ასობგერებს და ხმოვნებს თანმიმდევრობით.

(მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით[1] დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს[2]მოწყალეს და მწყალობელს[3]სამსჯავროს დღის მბრძანებელს[4]მხოლოდ შენ გეთაყვანებით და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას[5]დაგვაყენე სწორ გზაზე[6]იმათ გზაზე, რომელთაც უწყალობე, არა შერისხულთა და არც გზააბნეულთა[7]) -შემდეგ წაიკითხავს ალლაჰზე შეფარების გარეშე იმას, რისი წაკითხვაც მარტივია მისთვის ყურანიდან, რაც არის სასურველი.

**5**

შემდეგ აღმართავს თავის ხელებს ისე, როგორ ლოცვის დასაწყისში აღმართა და ამბობს: ((ალლაჰუ აქბარ - ალლაჰი უდიდესია)) და წელში მოიხრება. შემდეგ ხელებით მუხლებზე დაეყრდნობა და არ მოლუნავს იდაყვებს. ზურგს გაასწორებს თავის ერთად. ამბობს ერთხელ ((სუბჰანა რაბბი ალ-აზიმ - ქება ჩემს ღმერთს დიდებულს)), რაც არის აუცილებელი. სასურველია მას დაამატოს კიდე სხვა, რაც გადმოიცა.



**6**

- შემდეგ აღმართვისას გასწორებამდე ამბობს: ((სამი ალლაჰუ ლიმან ჰამიდაჰ - ალლაჰი შეისმენს იმისას, ვინც მას ადიდებს))ამასთანავე ხელებს აღმართავს ყურების ან მხრების გასწვრივ.- როცა გასწორდება ამბობს: ((რაბბანა ვალაქალ ჰამდ - ღმერთო ჩვენო, შენ გეკუთვნის დიდება)), სასურველია დაამატოს მას კიდე სხვა, რაც გადმოიცა.- შემდეგ ამბობს: ((ალლაჰუ აქბარ - ალლაჰი უდიდესია)) ხელების აწევის გარეშე და მუხლს იყრის შვიდ ორგანოზე დაყრდნობით, ესენია: შუბლი და ცხვირი, ორივე ხელის გულები, ორივე მუხლები, და ორივე ფეხის თითისგულები.- აშორებს იღლიებს, მუცელსა და ბარძაყს, ბარძაყსა და წვივს. და მკლავებს სწევს ძირიდან.



**7**

და ამბობს: ((სუბჰანა რაბბი ალ-'ალა - ქება ჩემს ღმერთს, უმაღლესს)), რაც არის აუცილებელი. სასურველია დაამატოს მას კიდე სხვა, რაც გადმოიცა. მას აქვს უფლება ევედროს ის, რაც მას სურს. უკეთესია ევედროს იმ ვედრებებით, რაც გადმოიცა.



**8**

- შემდეგ ამბობს: ((ალლაჰუ აქბარ - ალლაჰი უდიდესია)) და ჯდება მის მარცხენა გაშლილ ფეხზე. მარჯვენა ფეხის გულს აღმართავს, მისი თითების გულები ძირს იქნება დადებული და თითები მიმართული იქნება ყიბლისაკენ. ხელის გულებს მუხლების კიდეებთან დებს და ამბობს: ((რაბბი ღფირლი - ღმერთო ჩემო, მომიტევე.)) ეს არის ჯდომის ფორმა ყველა ლოცვაში, გარდა სამ და ოთხ მუხლიანი ლოცვებისა, სადაც ბოლო თაშაჰჰუდზე ჯდომისას მარცხენა ფეხს მარჯვენა წვივის ქვეშ დებს.



**9**

შემდეგ ამბობს: ((ალლაჰუ აქბარ - ალლაჰი უდიდესია)) და საჯდას შეასრულებს ისე, როგორც პირველი საჯდა შეასრულა. შემდეგ ამბობს ((ალლაჰუ აქბარ - ალლაჰი უდიდესია)) ადგება მეორე მუხლისათვის, და ისე მოიქცევა, როგორც პირველ მუხლზე გააკეთა, გარდა იმისა, რომ მეორე მუხლზე არაა საწყისი თაქბირი და ლოცვის შესავალი ვედრება.



- როცა დაასრულებს მეორე საჯდას დაჯდება თაშაჰჰუდისათვის.
- საჩვენებელი თითით მიუთითებს. შუა თითსა და ცერა თითს შეაერთებს. საჩვენებელ თითს აქანებს და მისით ევედრება.



- კითხულობს თაშაჰჰუდს, შემდეგ იბრაჰიმისეულ დალოცვას: ((მისალმებები ლოცვები და კარგი სიტყვები ალლაჰს ეკუთვნის. ო, მაუწყებელო, მშვიდობა, ალლაჰის მოწყალება და სიკეთე შენდა. მშვიდობა ჩვენდა და ალლაჰის კეთილისმქმნელ მსახურთ. ვადასტურებ, რომ არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანო, გარდა ალლაჰისა, და ვადასტურებ, რომ მუჰამმედი მისი მონა და შუამავალია.))((ო, ალლაჰ, დალოცე მუჰამმედი და მუჰამმედის ოჯახი ისე, როგორც დალოცე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი. ჭეშმარიტად, შენ ხარ ყოვლადქებული, სახელოვანი. მიეცი წყალობა მუჰამმედს და მუჰამმედის ოჯახს ისე, როგორ მიეცი წყალობა იბრაჰიმს და მის ოჯახს. ჭეშმარიტად, შენ ხარ ყოვლადქებული, სახელოვანი.))- შემდეგ შეფარებას სთხოვს ალლაჰს ოთხი რამისაგან: ((ო, ალლაჰ, შეგეფარები შენ ჯოჯოხეთის სატანჯველისაგან. შეგეფარები შენ საფლავის სატანჯველისაგან. შეგეფარები შენ ად-დაჯჯალის ცდუნებისაგან. და შეგეფარები შენ სიცოცხლისა და სიკვდილის ცდუნებისაგან.)) და ევედრება იმას ,რაც მას სურს. უმჯობესია ევედროს იმით ,რაც გადმოიცა შემდეგი სიტყვების ერთად: ((ო, ალლაჰ, დამეხმარე, რათა უკეთ გაგიხსენო, უკეთ გმადლობდე და უკეთ გეთაყვანო.)) - შემდეგ ორჯერ მიესალმება, ჯერ მარჯვენა და მერე მარცხენა მხარეს, ასე იტყვის ((ასსალამუ ალეიქუმ ვარაჰმათულლაჰ - მშვიდობა და ბარაქა თქვენდა)) ამ მომენტში მხოლოდ თავს მიატრიალებს, მხრების გარეშე, თავის ზევით და ქვევით მოძრაობის გარეშე. და ორივე ხელების მინიშნების გარეშე.



**10**

მოამზადა: დ. ჰაისამ სარჰანმა,
მესჯიდი ნებევის მასწავლებელი და სუნნის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

حقوق الطبع والنشر والتوزيع متاحة - لترجمة المطوية : sarhaan.com أو امسح الباركود

ქართული ენა جورجية

# მარხვა არის ორი ნაწილი

**სავალდებულო:** ეს არის რამადანი გამოსასყიდი და შეპირებული

**ნებაყოფლობითი:** სხვა დანარჩენი

**მარხვის განმარტება:** მარხვა არის ალლაჰისთვის جل و عز თაყვანისცემა საჭმელის სასმელის და სხვა მარხვის მომშლელი ფაქტორებისაგან თავშეკავებით ზუსტი განთიადის დადგომიდან მზის ჩასვლამდე

## მარხვას აქვს ორი ბურჯი:

### 1 განზრახვა

| სავალდებულო მარხვის განზრახვა: | ნებაყოფლობითი მარხვის განზრახვა: |
|---|---|
| სავალდებულო მარხვაში განზრახვა აუცილებლად უნდა შედგეს ღამით - ანუ ფაჯრის მოსვლამდე - საკმარისია ერთი განზრახვა რამადანის თვის დასაწყისში. მისი ადგილი გულია. მისი ენით წარმოთქმა ბიდათია. | ამ მარხვის განზრახვა სწორია თუნდაც შედგეს დღის ნებისმიერ დროს თუ მარხვას არ დაარღვევს. მაგრამ საზღაური გამოითვლება განზრახვიდან. |

### 2 მარხვის მომშლელი ფაქტორებისაგან თავშეკავება



**ზოგიერთი რამე, რაც მარხულისათვის დაშვებულია:**

- საჭიროებისამებრ საჭმელის გემოს გასინჯვა
- ნერწყვის გადაყლაპვა
- დაბანა
- სივაქი
- სუნამო
- გაგრილება

**მარხვას არღვევს:**

1-შეგნებულად ჭამა ან დალევა. ვისაც დაავიწყდება, მისი მარხვა სწორია.
2-სქესობრივი კავშირი. თუ ეს მოხდება რამადანში დღისით, როცა მარხვა მასზე სავალდებულოა, მას ევალება მძიმე გამოსასყიდი.
3-სპერმის გამოშვება 4-ჭამის და სმის შემცველი როგორიცაა მკვებავი ნემსი
5-ჰიჯამით სისხლის ამოღება
6 - შეგნებულად ღებინება
7 - მენსტრუაცია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენა

## სავალდებულო მარხვის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 - ისლამი | 2 - გონება |
| 3-ზრდასრულობა. არაზრდასრული წაიხალისება მარხვაში რასაც უბრძანებს მისი მეურვე | |
| 4 -შინ ყოფნა: არ ევალება მარხვა მგზავრს. უმჯობესია მგზავრმა იმარხულოს თუ არ გაურთულდება, მაუწყებლის ﷺ ქმედებისამებრ. რადგან ეს უფრო სწრაფია ვალდებულების აღსასრულებლად, უფრო მარტივია მარხვა დაკისრებულზე და თვის მადლის მისაღებად. | |
| 5 - ჯამრთელობა | 6 - მენსტრუაცია და მშობიარობის შემდგომი სისხლდენისაგან თავისუფალი ყოფნა |

**მარხულს ეკრძალება:**
1-ნახველის გადაყლაპვა რაც არ არღვევს მარხვას 2-კოცნა იმისათვის ვინც ვერ დაიცავს თავს მარხვის მოშლისაგან 3-ცრუ სიტყვა (ეს არის ყველა აკრძალული ქმედება) 4-უმეცრება (ეს არის უგუნურობა) 5-გადაბმული მარხვა (ორი გადაბმული დღის პირის გაუხსნელობა)

**მარხვისას მოუწონარია:**
1 -გადაჭარბება პირისა და ცხვირის გამოვლებისას
2 -არასაჭიროებისამებრ საჭმელის გემოს გასინჯვა

# ჰაჯის რიტუალები

ქართული ენა جورجية

هيئة سرحان

## 1 იჰრამი

(რიტუალში შესვლის განზრახვა)

შამის და ეგვიპტის მკვიდრთა მიყათი არის ალ ჯუჰფა მექადან 186 კმ

მედინის მკვიდრთა მიყათი არის ზულ ჰულაიფა მექადან 420 კმ

ერაყის მკვიდრთა მიყათი არის ზათუ ირყი მექადან 98 კმ

ნაჯდის მკვიდრთა მიყათი არის ყარნულ მანაზილი მექადან 99 კმ

იემენის მკვიდრთა მიყათი არის იალამლამა მექადან 99 კმ

ისინი ვინც თვითმფრინავით ჩადიან უახლოესი საჰაერო წერტილიდან შედიან იჰრამში მიყათის ცაზე გავლისას

## 2 ჩასვლის ტავაფი

7 გარშემოვლა იწყება შავი ქვიდან და სრულდება შავ ქვასთან

დასასრული დასაწყისი

დადის ორ მწვანე ნიშნულამდე შემდეგ ძალიან აჩქარებულად გაირბენს ორ ნიშნულს შორის ეს კონკრეტულად კაცებს ეხებათ

## 3 გარბენა საფასა და მარვას შორის

საფა

მარვა

## 4 მინაში ღამის გათევა

მეცხრე ღამე

ლოცულობს მინაში ზუჰრს ასრს მაღრიბს და იშას 8-ე დღეს და ფაჯრს 9-ე დღეს

## 5 არაფაზე დგომა

მეცხრე დღე

- იწყება 9-ე დღის შუადღიდან და გრძელდება 10-ე დღის დილამდე
- ლოცულობს იქ ზუჰრს და ასრს ერთად შემოკლებით ადრიანად

## 6 მუზდალიფაში ღამის გათევა

მეათე ღამე

ლოცულობს იქ მაღრიბს და იშას ერთად შემოკლებით 9-ე დღეს და ფაჯრს 10-ე დღეს.

## 7 ჯამარათ აყაბაზე 7 კენჭის სროლა

მეათე დღე

კენჭების სროლა პატარა ჯამარათზე შემდეგ საშუალოზე შემდეგ დიდზე მზის ზენიტის შემდეგ(ზუჰრის დროის დადგომიდან)

## 8 მუთამათი და მუყრინი მსხვეპლს კვლავენ

მეათე დღე

## 9 თმის გადაპარსვა ან შეკრეჭა

მეათე დღე

კაცისთვის თმის გადაპარსვა ან შეკრეჭა ქალი თითის წვერის დონეზე შეიჭრის თმას

## 10 ტავაფი იფადა

მეათე დღე

## 11

გარბენა მუთამათისთვის ან იმისთვის, ვისაც არ გაურბენია ჩასვლის ტავაფის შემდეგ

## 12

ჯამარათებზე კენჭების სროლა და მინაში ღამის გათევა

ჯამარათი 1

ჯამარათი 2

ჯამარათი 3

ვედრების ადგილი 1

ვედრების ადგილი 2

11-ე 12-ე და 13-ე დღეები ვინც არ ჩქარობს

## 13 დამშვიდობების ტავაფი

მოხსნილია მენსტრუაციული და ნამშობიარევი ქალისგან

- **ჰაჯის ბურჯები:** ვინც გამოტოვებს ჰაჯის ბურჯს არ შესრულდება მისი რიტუალი
- **ჰაჯის ვალდებულებები:** ვინც გამოტოვებს ჰაჯის ვალდებულებას აანაზღაურებს მსხვეპლით

alsarhaan.com
sarhaan.com

# უმრას რიტუალები

ქართული ენა — جورجية

## 1 იჰრამი
(რიტუალში შესვლის განზრახვა)

- შამის და ეგვიპტის მკვიდრთა მიყათი არის ალ ჯუჰფა მექადან 186 კმ
- მედინის მკვიდრთა მიყათი არის ზულ ჰულაიფა მექადან 420 კმ
- ერაყის მკვიდრთა მიყათი არის ზათუ ირყი მექადან 98 კმ
- ნაჯდის მკვიდრთა მიყათი არის ყარნულ მანაზილი მექადან 99 კმ
- იემენის მკვიდრთა მიყათი არის იალამლამა მექადან 99 კმ

ისინი ვინც თვითმფრინავით ჩადიან უახლოესი საჰაერო წერტილიდან შედიან იჰრამში მიყათის ცაზე გავლისას

## 2 ჩასვლის ტავაფი

7 გარშემოვლა იწყება შავი ქვიდან და სრულდება შავ ქვასთან

დასასრული დასაწყისი

## 3 ლოცვა მაყამ იბრაჰიმის უკან (თუ შეუძლია)

## 4 გარბენა საფასა და მარვას შორის

საფა

მარვა

შვიდი გარშემოვლა

დადის ორ მწვანე ნიშნულამდე შემდეგ ძალიან აჩქარებულად გაირბენს ორ ნიშნულს შორის ეს კონკრეტულად კაცებს ეხებათ

## 5 თმის გადაპარსვა ან შეკრეჭა

კაცისთვის თმის გადაპარსვა ან შეკრეჭა ქალი თითის წვერის დონეზე შეიჭრის თმას

## იჰრამში ყოფნისას აკრძალვები:

1. თმის მოცილება თავიდან და სხეულიდან
2. ფრჩხილების დაჭრა
3. სუნამოს გამოყენება
4. საქორწინო აქტის დადება თავისთვის ან სხვისთვის
5. ცოლთან ურთიერთობა
6. ხმელეთის ცხოველზე ნადირობა

**ნაწილი რაც მხოლოდ კაცებს ეკრძალებათ**

1. შეკერილი ტანსაცმელის ჩაცმა მსგავსად სამოსი რაც სხეულს ან ზოგიერთ ორგანოს გამოარჩევს
2. თავის დაფარვა ისეთი რამით როგორიცაა თავსაბურავი და ქუდი

**ნაწილი რაც მხოლოდ ქალებს ეკრძალებათ**

1. სახის დაფარვა ნიყაბით ან ბურკით მაგრამ უცხო კაცების თანდასწრებით სახეს დაიფარავს ხიმარით ან მისი მსგავსით
2. ხელთათმანების ჩაცმა

## უმრას მოსაწონი საქმეები:

1. ფრჩხილების დაჭრა და იმ თმის მოცილება რაც აუცილებელია იჰრამში შესვლის განზრახვის გაკეთებამდე
2. სხეულის დაბანა იჰრამისათვის
3. სხეულზე სუნამოს წასმა კაცებისთვის
4. კაცებისთვის იზარის და რიდას ჩაცმა
5. თალბია იჰრამში შესვლიდან ტავაფამდე (ლაბბაიქა ალლაჰუმმა ლაბბაიქა ლაბბაიქა ლა შარიქა ლაქა ლაბბაიქა ინნალ ჰამდა ვანნიმათა ლაქა ვალ მულქა ლა შარიქა ლაქა)
6. იდტიბა კაცებისთვის ტავაფისას - ეს არის მარჯვენა მხარის გამოჩენა
7. შავ ქვაზე კოცნა
8. აჩქარებული სვლა პირველი სამი გარშემოვლისას
9. ორი მუხლის ლოცვა მაყამ იბრაჰიმის უკან